საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6613
03/11/2022

6613-21-2-202211031419

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს

ასლი: გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 18 ოქტომბრის №5678 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, არაშენდას ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 17.867 ჰა ფართობზე, ღია კარიერული წესით 1 072 020 $მ^3$ კონგლომერატის მოპოვებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სალიცენზიო ტერიტორიის კონტური ემთხვევა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ 2022 წლის პირველ ივნისს №13826 განცხადებით წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტის ტერიტორიას, რომელზეც 2022 წლის 24 ივნისს გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №160/ს).

ამასთან, გაცნობებთ, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი, რომლის თანახმადაც ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნულ ტერიტორიას იყენებს სხვადასხვა საჭიროებებისთვის (პირუტყვის გადასარეკად, დასარწყულებლად და დასასვენებლად) და წინააღმდეგია გაიცეს ლიცენზია კონგლომერატის მოპოვების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება.

დანართი: ელ ვერსია.

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო